საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №144

2010 წლის 30 ივლისი

ქ. თბილისი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 29.01.2014 წ.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1^3 და 1^4 პუნქტების, 14^7 მუხლის 4^1 პუნქტის და მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 14^{18} მუხლის მე-2 პუნქტის, 19^1 მუხლის მე-6 პუნქტის, 38-ე მუხლის მე-4 და მე-10 პუნქტების, 63^2 მუხლის პირველი პუნქტის, 79-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 91^4 მუხლის მე-5 პუნქტის, 91^{10} მუხლის მე-2 პუნქტის, 91^{11} მუხლის პირველი პუნქტის, 91^{18} მუხლის მე-3 პუნქტის და „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 1 ივლისის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 01.07.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №147 - ვებგვერდი, 21.11.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 14 თებერვლის ბრძანება №24 - ვებგვერდი, 15.02.2012 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 17 მაისის ბრძანება №79 - ვებგვერდი, 17.05.2012 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 29.01.2014 წ.

1. დამტკიცდეს თანდართული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობა და გადახდის წესი.
2. ბრძანება ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თ. ბურჯალიანი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 29.01.2014 წ.

მუხლი 1

აღსრულებისსაფასური, აგრეთვე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა საფასური არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დადგენილი სავალდებულო გადასახდელი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), რომელიც ირიცხება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №147 - ვებგვერდი, 21.11.2011 წ.

მუხლი 2

1. აღსრულების საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე აღსრულების საფასური ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად.
2. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე გადასახდელი საფასურის ოდენობაა აღსასრულებელი მოთხოვნის 7%, გარდა ამ მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე აღსრულების საფასურის ოდენობა არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის დადგენილი საფასურისა.

2^1. აღსრულების საქმეზე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის აღსრულების საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) 100 ლარამდე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის შემთხვევაში – სახელმწიფო ბაჟის,

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის თანხის 25%, მაგრამ არანაკლებ 20 ლარისა;

ბ) 100 ლარიდან 200 ლარამდე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის შემთხვევაში – სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის თანხის 20%, მაგრამ არანაკლებ 30 ლარისა;

გ) 200 ლარიდან 500 ლარამდე სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის შემთხვევაში – სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის თანხის 10%, მაგრამ არანაკლებ 40 ლარისა;

დ) 500 ლარი ან 500 ლარზე მეტი სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის შემთხვევაში – სახელმწიფო ბაჟის, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით დაკისრებული ჯარიმების, ზიანის ანაზღაურების ან/და საურავის თანხის 7%, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა.

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილებების, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი (გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სასარგებლოდ გადასახდელი თანხების, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი თანხების და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების აღსრულების საფასური წინასწარ არ გადაიხდევინება. ამ გადაწყვეტილებების აღსრულების საფასურის ოდენობაა აღსასრულებელი მოთხოვნის 7%. საფასურის გადახდა მოვალეს აღსრულების დაწყებისთანავე ეკისრება.

4. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული კრედიტორების, რომელთაც გააჩნიათ ფულადი მოთხოვნები, მოვალეების მიერ კანონით დადგენილ ვადებში მოთხოვნის სრულად შესრულებისას გადასახდელი საფასურის ოდენობა შეადგენს აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნის 2%- ს (არანაკლებ 50 ლარისა);

5. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ კრედიტორი გამოიყენებს ამავე მუხლის 1^2 პუნქტით მინიჭებულ უფლებას, იგი ყოველწლიურად იხდის სააღსრულებო წარმოების საქმის გაგრძელებისათვის საფასურს 200 ლარის ოდენობით.

6. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ სააღსრულებო წარმოებისას, მათ შორის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების აღსრულებისას, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემის შემთხვევაში, ქონების ფასი განისაზღვრება ამ ქონების საბაზრო ღირებულების ნახევრით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 17 იანვრის ბრძანება №10 - ვებგვერი, 17.01.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 10 მარტის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 11.03.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 1 ივლისის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 01.07.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №147 - ვებგვერდი, 21.11.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 17 იანვრის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 17.01.2012 წ.

მუხლი 3

1. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საფასურის სახით გადახდილი თანხა კრედიტორს უბრუნდება ამოღებული მოთხოვნის პროპორციულად.

2. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე კრედიტორი სააღსრულებო ფურცლის აღსრულების ეროვნულ ბიუროში შეტანისას იხდის აღსასრულებელი მოთხოვნის 2%-ს (მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა).

3. უკანონო მფლობელობიდან მოძრავი ნივთის გამოთხოვის ან/და გადაცემის, ან ისეთი არაფულადი სახით გამოხატული მოთხოვნებისას, რომელთა აღსრულება იწვევს ქონების რეალიზაციას, აღსრულების საფასურის ოდენობაა ნივთის საბაზრო ღირებულების 1%, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა. ამ კატეგორიის საქმეებზე კრედიტორი აღსრულების საფასურს წინასწარ იხდის ნივთის საბაზრო ღირებულების შესახებ კომპეტენტური პირის ან ორგანოს დასკვნის შესაბამისად (გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, როდესაც სხვისი მფლობელობიდან ან/და

სარგებლობიდან ქონების გამოთხოვის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული გირავნობის მოწმობის მფლობელი მოგირავნის და ლიზინგის მოწმობის მფლობელი ლიზინგის გამცემის განცხადების საფუძველზე არსებული წარმოების საქმეებზე აღსრულების ეროვნული ბიურო არ დაეყრდნობა ქონების წარმოდგენილ შეფასებას და თავად შეაფასებს მას). კრედიტორი უფლებამოსილია მის მიერ გადახდილი აღსრულების საფასურისა და შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს მოვალისაგან სასამართლო წესით.

3^1. უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვისას, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟისას და მშენებარე შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟისას, აღსრულების საფასურის ოდენობაა ფიზიკური პირის შემთხვევაში – ნივთის საბაზრო ღირებულების 1%, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა, იურიდიული პირის შემთხვევაში – ნივთის საბაზრო ღირებულების 1%, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა. ამ კატეგორიის საქმეებზე კრედიტორი აღსრულების საფასურს წინასწარ იხდის ნივთის საბაზრო ღირებულების შესახებ კომპეტენტური პირის ან ორგანოს დასკვნის შესაბამისად (გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, როდესაც სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის საქმეზე აღსრულების ეროვნული ბიურო არ დაეყრდნობა ქონების წარმოდგენილ შეფასებას და თავად შეაფასებს მას). კრედიტორი უფლებამოსილია მის მიერ გადახდილი აღსრულების საფასურისა და შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს მოვალისაგან სასამართლო წესით.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კრედიტორი ფიზიკური პირის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) მიერ აღსრულების საფასურის წინასწარ გადასახდელი ოდენობა, მიუხედავად აღსასრულებელი მოთხოვნისა, არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

5. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებისათვის რეგისტრაციას დაქვემდებარებულ თითოეულ ნივთზე და სხვა კატეგორიის საქმეებზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენისას კრედიტორი თითოეულ მოთხოვნაზე იხდის აღსრულების საფასურს 200 ლარის ოდენობით.

6. (ამოღებულია - 01.07.11 №82).

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 17 იანვრის ბრძანება №10 - ვებგვერი, 17.01.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 10 მარტის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 11.03.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 23 მაისის ბრძანება №64 - ვებგვერდი, 24.05.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 1 ივლისის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 01.07.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 26 ივლისი ბრძანება №95 - ვებგვერდი, 26.07.2011წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №147 - ვებგვერდი, 21.11.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 16 ივნისის ბრძანება №557 - ვებგვერდი, 16.06.2020 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 13 აპრილის ბრძანება №818 - ვებგვერდი, 13.04.2022 წ.

მუხლი 3^1

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წინმსწრები სააუქციონო მომსახურების საფასური შეადგენს 100 ლარს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 29.01.2014 წ.

მუხლი 4

1. კერძო აღმასრულებელი აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართავს სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადით, წარუდგენს სააუქციონო დოკუმენტაციის (სააღსრულებო წარმოების შესაბამისი მასალების) მის მიერ დამოწმებულ ასლებს და აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე შეაქვს ამ მომსახურებისათვის დადგენილი საფასური, რომლის ოდენობა შეადგენს განაცხადის წარდგენის დღისათვის მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნის 1%-ს, ხოლო არაფულადი სახით გამოხატული მოთხოვნების შემთხვევაში – სარეალიზაციო ქონების საბაზრო ღირებულების 1%-ს. ამასთან, სააუქციონო მომსახურების საფასურის ოდენობა არ უნდა იყოს 200 ლარზე ნაკლები. სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადის მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით წარდგენის შემთხვევაში სააღსრულებო წარმოების მასალები არ საჭიროებს დამოწმებას.

2. კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია, მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით საჯარო შეტყობინების აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ კერძო აღმასრულებლისათვის აღნიშნული მომსახურების საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს.

3. აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის – აღსრულების პოლიციის სამმართველოს მიერ კერძო აღმასრულებელისათვის გაწეული მომსახურების საფასური შეადგენს:

ა) ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისას (შენობიდან გამოსახლება, ნივთის გადაცემა), სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულებისას და აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით მოვალის ქონების აღწერა-დაყადაღებისას გაწეული დახმარებისათვის – თვითმმართველი

ქალაქების: თბილისის, ბათუმის, ქუთაისის ტერიტორიაზე – ორას ლარს, სხვა ტერიტორიაზე – სამას ლარს;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულის გარდა, ყველა სხვა სახის სააღსრულებო მოქმედების განხორციელებისას გაწეული დახმარებისათვის – თვითმმართველი ქალაქების: თბილისის, ბათუმის, ქუთაისის ტერიტორიაზე – ას ლარს , სხვა ტერიტორიაზე – ორას ლარს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 17 იანვრის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 17.01.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 1 ივლისის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 01.07.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №147 - ვებგვერდი, 21.11.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 17 იანვრის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 17.01.2012 წ.

მუხლი 5

აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სააღსრულებო ბიუროს საამისოდ უფლებამოსილი პირები რეესტრის მონაცემების საფუძველზე უზრუნველყოფენ შესაბამისი ცნობებისა და ამონაწერების გაცემას ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. რეესტრიდან შესაბამისი ცნობა და ამონაწერი გაიცემა დაინტერესებული პირის განცხადებისა და დადგენილი საფასურის წინასწარ გადახდის საფუძველზე, რომლის ოდენობა შეადგენს 10 ლარს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 17 იანვრის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 17.01.2011 წ.

მუხლი 6 (ამოღებულია)

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 17 იანვრის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 17.01.2011 წ.

მუხლი 7

იმ კატეგორიის საქმეებზე, რომლებიც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 30 სექტემბრის № 221 ბრძანების 15^4 მუხლის თანახმად, აღსასრულებლად მიიღო აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, აღსრულების საფასური განისაზღვრება კრედიტორსა და კერძო აღმასრულებელს შორის დადებული ხელშეკრულებით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლით დადგენილი აღსრულების საფასურის ზღვრული ოდენობის ფარგლებში დადგენილი საზღაურის ოდენობის შესაბამისად. კერძო აღმასრულებლისათვის საზღაურის სახით წინასწარ გადახდილი თანხა კრედიტორს დაუბრუნდება ამოღებული თანხის (მოთხოვნის) პროპორციულად.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №156-სსმ III, №103, 24.08.2010 წ; მუხ.1548
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 9 სექტემბრის ბრძანება №165-სსმ III, №114, 09.09.2010 წ; მუხ.1713

მუხლი 8

1. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ პირის მიმართვის საფუძველზე განხორციელებული შეფასების მომსახურების საფასური განისაზღვრება დანართი №1-ის შესაბამისად.

2. პერიოდების მიხედვით, შეფასების მომსახურების გაწევისას, მომსახურების საფასური ორმაგდება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 1 ივლისის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 01.07.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 17 მაისის ბრძანება №79 - ვებგვერდი, 17.05.2012 წ.

მუხლი 9

1. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას მეურვის ან/და გაკოტრების მმართველის ფუნქციის განხორციელების, ასევე „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სააუქციონო მომსახურების გაწევის საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) მეურვის ფუნქციის განხორციელებისას, თუ მოვალე საწარმოს მიმართ გაიხსნება გაკოტრების საქმის წარმოება:

ა.ა) თუ სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულება არ აღემატება 100 000 ლარს – გაკოტრების მმართველის მიერ გასანაწილებელი, მათ შორის, ქონების რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხის 7%, მაგრამ არანაკლებ 5000 ლარისა;

ა.ბ) თუ სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულებაა 100 001 ლარიდან 200 000 ლარის ჩათვლით – გაკოტრების მმართველის მიერ გასანაწილებელი, მათ შორის, ქონების რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხის 7%, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარისა;

ა.გ) თუ სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულებაა 200 001 ლარიდან 500 000 ლარის ჩათვლით – გაკოტრების მმართველის მიერ გასანაწილებელი, მათ შორის, ქონების რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხის 7%, მაგრამ არანაკლებ 25 000 ლარისა;

ა.დ) თუ სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება 500 000 ლარს – გაკოტრების მმართველის მიერ გასანაწილებელი, მათ შორის, ქონების რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხის 7%, მაგრამ არანაკლებ 40 000 ლარისა;

ბ) მეურვის ფუნქციის განხორციელებისას, თუ მოვალე საწარმოს მიმართ გაიხსნება რეაბილიტაციის

საქმის წარმოება:

ბ.ა) თუ სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულება არ აღემატება 100 000 ლარს – სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 6%, მაგრამ არანაკლებ 5000 ლარისა და არაუმეტეს კრედიტორთა რეესტრში რეგისტრირებული კრედიტორთა მოთხოვნების ჯამური ღირებულების 3%-ისა, თუ აღნიშნული თანხა არ არის ნაკლები 5000 ლარზე;

ბ.ბ) თუ სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულებაა 100 001 ლარიდან 200 000 ლარის ჩათვლით – სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 6%, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარისა და არაუმეტეს კრედიტორთა რეესტრში რეგისტრირებული კრედიტორთა მოთხოვნების ჯამური ღირებულების 3%-ისა, თუ აღნიშნული თანხა არ არის ნაკლები 10 000 ლარზე;

ბ.გ) თუ სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულებაა 200 001 ლარიდან 500 000 ლარის ჩათვლით – სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 6%, მაგრამ არანაკლებ 25 000 ლარისა და არაუმეტეს კრედიტორთა რეესტრში რეგისტრირებული კრედიტორთა მოთხოვნების ჯამური ღირებულების 3%-ისა, თუ აღნიშნული თანხა არ არის ნაკლები 25 000 ლარზე;

ბ.დ) თუ სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულებაა 500 001 ლარიდან 1 000 000 ლარის ჩათვლით – სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 6%, მაგრამ არანაკლებ 50 000 ლარისა და არაუმეტეს კრედიტორთა რეესტრში რეგისტრირებული კრედიტორთა მოთხოვნების ჯამური ღირებულების 3%-ისა, თუ აღნიშნული თანხა არ არის ნაკლები 50 000 ლარზე;

ბ.ე) თუ სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულებაა 1 000 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით – სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 5%, მაგრამ არანაკლებ 150 000 ლარისა და არაუმეტეს კრედიტორთა რეესტრში რეგისტრირებული კრედიტორთა მოთხოვნების ჯამური ღირებულების 3%-ისა, თუ აღნიშნული თანხა არ არის ნაკლები 150 000 ლარზე;

ბ.ვ) თუ სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულებაა 5 000 001 ლარიდან 10 000 000 ლარის ჩათვლით – სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 5%, მაგრამ არანაკლებ 250 000 ლარისა და არაუმეტეს კრედიტორთა რეესტრში რეგისტრირებული კრედიტორთა მოთხოვნების ჯამური ღირებულების 3%-ისა, თუ აღნიშნული თანხა არ არის ნაკლები 250 000 ლარზე;

ბ.ზ) თუ სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება 10 000 000 ლარს – სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 4%, მაგრამ არანაკლებ 500 000 ლარისა და არაუმეტეს კრედიტორთა რეესტრში რეგისტრირებული კრედიტორთა მოთხოვნების ჯამური ღირებულების 3%-ისა, თუ აღნიშნული თანხა არ არის ნაკლები 500 000 ლარზე;

გ) თუ მეურვის ფუნქციის განხორციელებისას რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების შეუძლებლობის გამო შეწყდება რეაბილიტაციის საქმის წარმოება და მოვალის მიმართ გაიხსნება გაკოტრების საქმის წარმოება – ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

დ) მეურვის ფუნქციის განხორციელებისას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში – 5000 ლარი;

ე) გაკოტრების მმართველის ფუნქციის განხორციელებისას – სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 7%, მაგრამ არანაკლებ 5000 ლარისა და არაუმეტეს გაკოტრების მმართველის მიერ კრედიტორებისათვის გადასაცემი თანხის 7%-ისა, თუ აღნიშნული თანხა არ არის ნაკლები 5000 ლარზე;

ვ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით საუქციონო მომსახურების გაწევისას – სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 1%, მაგრამ არანაკლებ 200 ლარისა;

ზ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით ქონების ნატურით გადაცემისას – ნატურით გადასაცემი ქონების საბაზრო ღირებულების 7%.

1^1. მეურვის/გაკოტრების მმართველის მიერ 2012 წლის 1 თებერვლამდე აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის გადაცემულ იმ გადახდისუუნარობის საქმეებზე, რომლებზედაც სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია 2011 წლის 1 აგვისტომდე, საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) მეურვის ფუნქციის განხორციელებისას – სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 7%, მაგრამ არანაკლებ 5 000 (ხუთი ათასი) ლარისა;

ბ) გაკოტრების მმართველის ფუნქციის განხორციელებისას – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ კრედიტორისათვის გადასაცემი თანხის 7%.

2. იმ შემთხვევაში, თუ ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები ან „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ “ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სასამართლოს სადეპოზიტო ანარიშზე შეტანილი თანხა ნაკლებია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის ოდენობაზე, სხვაობის გადახდა არ ხდება.

3. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციის საფასურის ოდენობაა 3000 ლარი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 1 ივლისის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 01.07.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება №136 - ვებგვერდი, 21.10.2011 წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 12 იანვრის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 12.01.2012 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 14 თებერვლის ბრძანება №24 - ვებგვერდი, 15.02.2012 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 12 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 12.02.2014 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 30 მარტის ბრძანება №695 - ვებგვერდი, 31.03.2021 წ.

მუხლი 9[1]

1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მმართველის ფუნქციის შესრულებისათვის საზღაურის ოდენობა შეადგენს ამოღებული თანხის 7%-ს.

2. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის მე-4 პუნქტით და 82-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ზედამხედველის ფუნქციის შესრულებისათვის საზღაურის ოდენობა შეადგენს ამოღებული თანხის 2%-ს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 29.01.2014 წ.

მუხლი 10

ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების თაობაზე მოთხოვნებთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოებისას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობა შეადგენს:

ა) აპლიკანტის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების წარდგენისას (სააპლიკაციო საფასური) – 200 ლარს თითოეული სამართლებრივი საფუძვლით წარდგენილ მოთხოვნაზე. წილობრივი ვალდებულების შემთხვევაში, თუ მოთხოვნა წარდგენილია ერთზე მეტი აპლიკანტის მიერ ან/და მიმართულია ერთზე მეტი რესპონდენტის წინააღმდეგ სააპლიკაციო საფასური შეადგენს 200 ლარს თითოეულ პირთან მიმართებაში;

ბ) მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ქონებაზე ყადაღის დადებისათვის – 100 ლარს თითოეულ ქონებაზე;

გ) რესპონდენტის მიერ დავალიანების ან დავალიანების ნაწილის დაფარვის დროს გამარტივებული წარმოების საფასურის გადახდისას – გადახდილი დავალიანების თანხის 2%-ს (არანაკლებ 50 ლარისა).

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 17 მაისის ბრძანება №79 - ვებგვერდი, 17.05.2012 წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 13 აპრილის ბრძანება №818 - ვებგვერდი, 13.04.2022 წ.

მუხლი 11

1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ფაქტების კონსტატაციის მომსახურების საფასური შეადგენს:

ა) 200 ლარს – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სამუშაო საათებში გაწეულ მომსახურებაზე;

ბ) 300 ლარს – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ არასამუშაო საათებსა და უქმე დღეებში გაწეულ მომსახურებაზე.

2. აღსრულების ეროვნული ბიურო გადასცემს დაინტერესებულ მხარეს ფაქტების კონსტატაციის მასალებს მხოლოდ ფაქტების კონსტატაციის მომსახურების საფასურის გადახდის შემდგომ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 17 მაისის ბრძანება №79 - ვებგვერდი, 17.05.2012 წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 13 აპრილის ბრძანება №818 - ვებგვერდი, 13.04.2022 წ.

დანართი №1

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ პირის მიმართვის საფუძველზე განხორციელებული შეფასების მომსახურების საფასური

№	სახეობა	ერთეული	ფასი (ლარებში)	შენიშვნა
1	მიწის ნაკვეთი (სასოფლო - სამეურნეო) 1 ჰა -ის ჩათვლით	1	50	
2	მიწის ნაკვეთი (სასოფლო - სამეურნეო) 1 ჰა - ზე მეტი 10 ჰა - მდე	1	100	ყოველ დამატებით 1 ჰა - ზე დამატებით 5 ლარი
3	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო - სამე უ რნეო)	1	150	
4	ბინა	1	150	
5	კერძო სახლი	1	200	
6	კომერციული და საოფისე დანიშნულების ფართები 200 კვ . მ - ის ჩათვლით	1	250	ყოველ დამატებით 100 კვ . მ - ზე 50 ლარი
	საწარმო ო დანიშნულების შენობა - ნაგებობები 500 კვ . მ -			ყოველ დამატებით 100 კვ . მ - ზე დამატებით 20

7	ის ჩათვლით	1	500	ლარი , არა უმეტეს 7 000 ლარისა
8	სარდაფი, სხვენი, ავტოფარეხი	1	95	
9	საკანცელარიო საქონელი, ნაბეჭდი პროდუქცია, ელექტროტექნიკური საქონელი, საყოფაცხოვრებო საქონელი	100 ლარამდე – 15 ლარი, 100 ლარიდან 5 000 ლარის ჩათვლით – 40 ლარი, 5 000 ლარი ს ზევით 10 000 ლარის ჩათვლით – 100 ლარი, 10 000 ლარის ზევით – 300 ლარი		
10	ავეჯი (ფურნიტურა, გარნიტურა)			
11	სამეურნეო დანიშნულების (გარდა ქიმიური ნივთიერებებისა) საქონელი			
12	ტანსაცმელი და ფეხსაცმელი			
13	საკვები პროდუქტები (რომლებიც შეფუთულია დადგენილი წესით და არ საჭიროებენ ლაბორატორიულ შემოწმებას)			
14	პარფიუმერია, ჰიგიენური, საწმენდი და სარეცხი საშუალებები			
15	საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტი, მათი ნაწილები და აქსესუარები	5000 ლარამდე – ღირებულების 3%, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა, 5000-დან 100 000 ლარამდე – 200+5000 ლარის ზევით ღირებულების 2%, 100 000-დან 1 000 000 ლარის ჩათვლით – 2050+100 000 ლარის ზევით ღირებულების 1%, 1 000 000 ლარის ზევით – ღირებულების 0,8%		
16	დაზგა-დანადგარები, მანქანა-დანადგარები	100 ლარამდე – 20 ლარი, 100 ლარიდან 5 000 ლარის ჩათვლით – 50 ლარი, 5 000 ლარი ს ზევით 10 000 ლარის ჩათვლით – 150 ლარი, 10 000 ლარის ზევით – 400 ლარი		
17	ნავთობპროდუქტები და სხვა ქიმიური ნივთიერებები (საცალო გაყიდვისთვის დაფასოებული, რომლებიც არ საჭიროებენ ლაბორატორიულ შემოწმებას)	100 ლარამდე – 15 ლარი, 100 ლარიდან 5 000 ლარის ჩათვლით – 40 ლარი, 5 000 ლარი ს ზევით 10 000 ლარის ჩათვლით – 100 ლარი, 10 000 ლარის ზევით – 300 ლარი		
18	შავი და ფერადი ლითონის ჯართი	1 ტონა 15 ლარი		
19	ცხოველები და ფრინველები	საერთო ღ ი რებულების 5%		
20	სამშენე ბ ლო მასალები, სამშენებლო კონსტრუქციები	5000 ლარამდე – ღირებულების 3%, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა, 5000-დან 100 000 ლარამდე – 200+5000 ლარის ზევით ღირებულების 2%, 100 000-დან 1 000 000 ლარის ჩათვლით – 2050+100 000 ლარის ზევით ღირებულების 1%, 1 000 000 ლარის ზევით – ღირებულების 0,8%		
21	თამბაქო და თამბაქოს ნაწარმი	100 ლარამდე – 15 ლარი, 100 ლარიდან 5 000 ლარის ჩათვლით – 40 ლარი, 5 000 ლარი ს ზევით 10 000 ლარის ჩათვლით – 100 ლარი, 10 000 ლარის ზევით – 300 ლარი		
22	ალკოჰოლური სასმელები			
23	სხვა ან/და შერეული ქონება	5000 ლარამდე – ღირებულების 5%, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა, 5000-დან 100 000 ლარამდე – 400+5000 ლარის ზევით ღირებულების 2%, 100 000-დან 1 000 000 ლარის ჩათვლით – 2500+100 000 ლარის ზევით ღირებულების 1%, 1 000 000 ლარის ზევით – ღირებულების 0,8%		
24	საწარმო ში წილის შეფასება	1	300 + საწარმოს საკუთრებაში არსებული (არამატერიალური და მატერიალური) აქტივების შეფასების მომსახურების საფასურის შესაბამისად , არაუმეტეს 10 000 ლარისა	
25	ლიცენზიები და ნებართვები	1	500	
26	საიჯარო ქირა (უძრავი/მოძრავი ქონება)	1	200	
27	ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა	1	50	

Sქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 1 ივლისის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 01.07.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 17 მაისის ბრძანება №79 - ვებგვერდი, 17.05.2012 წ.

დანართი №2 (ამოღებულია)

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 1 ივლისის ბრძანება №82 - ვებგვერდი, 01.07.2011 წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 26 ივლისი ბრძანება №95 - ვებგვერდი, 26.07.2011წ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 17 მაისის ბრძანება №79 - ვებგვერდი, 17.05.2012 წ.